ცნობის ფურცელი

№ 2248 ოთხშაბათი, 27 აგვისტო 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2248

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ყოველი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

2 მან. და 60 კ. ღირს ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის ფურცელი"
კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბექდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—107)

კბილები
და მათი მოვლა-შენახვა

საჯარო ლექციები სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს 7 ნახატი აქვს დართული. გამოცემა კ. ჯ—სა. ფასი 40 კაპ.

იყიდება:
ქართვ. წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთანა და „ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში (5—5—1)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 8—10-მდე და 11—2 მდე. საღამო საღამობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამობით 5—7-მდე. (წლ.)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი იაჩნაძისა. (წლ.)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
გადავიდა ვერის ხიდისკენ ჩასავლის დასაწყისში, ზემელის აფთიაქთან, ვილნერის სახლში, № 2. ღებულობს კბილის სნეულებით ავადმყოფებს: დილის 9—2 საათ. და ნაშუადღევის 4—7 მდე. (6—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:
მ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.
ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.
ა. გ. მაღალაშვილი. ბავშ. და შინაგ. 10—11 საათ.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.
მრ. მ. ხობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.
საღამოთი:
ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროსკოპიური გამოკვლევანი 5—6. საათ.

სამკურნალოს აქვს ორი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, გოლოვკოხიაკუსკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.
(წლ.) ტელეფონი № 274.

საზღვარ-გარედ

საბერძნეთი. მაკედონიელ ბერძნებისა და მეტადრე საბერძნეთის მთავრობის უსინიდისო ქცევამ ყველანი დააფიქრა. დეპეშებმა გვაცნობა, რომ საბერძნეთი ოსმალეთთან კავშირის შეკვრას აპირებსო. კავშირის პირობებიც კი მოხსენებული იყო: ხმა დადის, რომ მოკავშირეთა ჯარის უფროსობა ოსმალეთს ჩაჰბარდება, ფლოტისა—საბერძნეთსაო. ამ კავშირის თაობაზე ინგლისური გაზ. „დეილი ნიუს"-ი სწერს:

„საბერძნეთის მეგობრები მეტად დააღონა ამ ამბავმა. ბალკანეთს ასეთი გაჭირვება ადგია, ბაირონისაგან ქება-დიდებით შემკობილი საბერძნეთი კი ოსმალებს უახლოვდება. საბერძნეთს ნამდვილად ჰსურს ოსმალეთთან კავშირი. ორიოდე კვირის წინად საბერძნეთის სამეფო გვარეულობის წევრი ხონთქარს ეწვია და ხონთქარმაც საოცარის გულ-წრფელობით მიიღო თავისი სტუმარი. ხმა დადის, თითონ საბერძნეთის მეფეც მარიენბადიდან (ეხლა მეფე გერმანიაში მარიენბადის წყლებზე ცხოვრობს) ილდიზ-კიოსკში (ხონთქრის სასახლეში) წავაო. აქამდე საბერძნეთი და ბალკანეთის ყველა ქრისტიანი ერი სახელოვნად ებრძოდნენ ოსმალეთს. მაშ რა მიზეზია, რომ საბერძნეთმა ეხლა ასე უსირცხვილოდ უარ-ჰყო თავისი სახელოვანი ტრადიცია. მიზეზი ისაა, რომ საბერძნეთს იმედი აქვს ამ უნამუსო ქცევით ზოგიერთი განზრახვა აისრულოს და ზოგიერთ ბალკანეთის ერის ჯავრი ამოიყაროს". „დეილი ნიუს"-ის აზრით, საბერძნეთს თავდაპირველად იმედი აქვს კუნძული კრიტი შემოიერთოს და თავისი სამფლობელო ცოტათი მაინც გაადიდოს. ოსმალეთთან კავშირი მძლავრ გერმანიის დახმარებასაც მოუპოვებს: ეს დახმარება მომავალში გამოადგება. საბერძნეთს მაკედონიის შემოერთების იმედი დღესაც არ დაუკარგავს, თუმცა ბერძნები ამ ქვეყანაში რიცხვით სხვა ერებზე ნაკლებნი არიან და მაკედონიის მცხოვრებთა უმეტესობასაც გული სოფიისკენ (ბოლგარიისაკენ) მისწევს და არა ათინისაკენ (საბერძნეთისაკენ). საბერძნეთისა და ოსმალეთის კავშირი ინგლისურ გაზეთს ძლიერ მავნებლადა და არა ბუნებრივად მიაჩნია. გაზეთი ჩამოსთვლის ყველა იმ ბოროტ-მოქმედებასა და სიმხეცეს, რაც ოსმალ ჯარის-კაცებს ჩაუდენიათ, და იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ევროპამ სიმართლისა და კაცთ-მოყვარეობის სახელით მაკედონიას დახმარება უნდა გაუწიოსო.

ცოტაოდნად ვიცით კიდეც, თუ რა თვალით უყურებენ ბერძნები მაკედონიის მოძრაობას და აი კიდევ ახალი ცნობა. ამას წინად საბერძნეთის დედა ქალაქ ათინაში კრება მოუხდენიათ და მაკედონიელ რევოლიუციონერების წინააღმდეგ პროტესტი გამოუცხადებიათ. კრებას შემდეგი რეზოლიუცია დაუდგენია.

„ათინაში მცხოვრები მაკედონიელები ვაცხადებთ, რომ ბოლგარები მთელის მაკედონიის დაპყრობას ცდილობენ; მაკედონია ყოველთვის ყოფილა და დღესაც ბერძენთა ქვეყანა არის. ბოლგარები ისტორიისა, გეოგრაფიისა და ეტნოგრაფიას ამახინჯებენ. რაკი ამითაც ვერას გახდნენ, ეხლა დინამიტსა და ხანჯალს მიჰყვეს ხელი. ამიტომ ჩვენ, მაკედონიის ყველა კუთხის წარმომადგენელი ბერძნები, შემდეგს რეზოლიუციას ვადგენთ: პროტესტს ვაცხადებთ ბოლგართ რევოლიუციონერების წინააღმდეგ. რევოლიუციონერების ხროში მაკედონიელი არავინ ურევია: ესენი სულ ბოლგარიიდან არიან გადმოსულები და მარტო იმას ცდილობენ, რომ მაკედონიაში ბერძნების ერი ცეცხლითა და მახვილით გააქრონ. სლავიანთა მეცნიერნი ცრუ სტატისტიკურ ცნობებს აცხადებენ და ევროპას არწმუნებენ, მაკედონია სლავიანებს ეკუთვნის და არა ბერძნებსაო. ამ ცრუ ცნობების წინააღმდეგაც პროტესტს ვაცხადებთ. პროტესტს ვაცხადებთ იმის წინააღმდეგაც, რომ ბოლგარი რევოლიუციონერები ყოველ დღე მაკედონიელ ბერძნებს ჰხოცვენ და ბერძნების ქონებას აოხრებენ. მაკედონიელი ბერძნები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ევროპა არავის მისცემდა ამისთანა საზარელ უდიერობის ნებას. ეხლა ვაცხადებთ, თუ ყაჩაღი ბოლგარები ამისთანა მხეცურ ქცევაზე ხელს არ აიღებენ, იძულებულნი ვიქნებით იარაღი ავისხათ და ჩვენი ძმები ბოლგარ ყაჩაღებისაგან დავიხსნათ. ვემუდარებით ევროპას მაკედონიელი ბერძნები ყაჩაღ ბოლგარების ბოროტ-მოქმედებისაგან დაიფაროს".

ამ რეზოლიუციის პირი საბერძნეთის მთავრობასა და უცხო სახელმწიფოთა ყველა წარმომადგენლებს გაუგზავნეს ათინაში. ევროპის პრესამ თითქმის ერთხმად დაჰგმო ეს რეზოლიუცია. პირუთვნელი მწერალი ლერუა ბოლიე ჟურნალ „ეუვროპიან"-ში სწერს:

„ბერძნები მთელის წარსულის საუკუნის განმავლობაში წინ უძღოდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიანებს და გმირულად ებრძოდნენ ოსმალეთს. ბერძნებსა და იმათ გმირებს დიდებული პოეტები ბაირონი და გიუგო ქება დიდებით ამკობდნენ; ამას წინად ბერძნები კუნძულ კრიტზე ოსმალეთის მონობისაგან განთავისუფლებას ცდილობდნენ.. აი, სწორედ ეს ბერძნები ეხლა მტრულად ექცევიან თავიანთ ძმა-ქრისტიანებს მაკედონიაში!.. ბერძნებმა, თუ საქმით არა, სიტყვით მაინც, თავიანთ დამჩაგვრელების მხარე დაიჭირეს. ბერძნები გვეუბნებიან, მაკედონიელი ბოლგარები ნამდვილი დამნაშავენი, ნამდვილი ბარბაროსები არიანო. ბერძნებს ავიწყდებათ, რომ იმათი მტრები სწორედ მაგასვე ამბობდნენ, როცა ბერძნები კუნძულ კრიტზე იბრძოდნენ და გაფთრებულნი მუსულმანებსა ჰხოცდნენ... ბერძნებს მარტო თავიანთი თავი აგონდებათ, მარტო თავიანთი ინტერესი აწუხებთ. ამათი ინტერესი თხოულობს ვითომ, რომ მაკედონია ოსმალეთის ხელში დარჩეს, გინდაც ამისათვის ბოლგარები სულაც გასწყდნენ"...

მაკედონია. პოლიტიკოსთა წრეებს ლონდონში შეუტყვიათ, მაკედონიის რეფორმების პროექტს შესამჩნევად შესცვლიანო. იქნება რომ ავსტრია და რუსეთი შეთანხმდნენ და მაკედონიაში ქრისტიანი გენერალ-გუბერნატორი დაანიშვნინონ ხონთქარსაო. ხმა დადის, ხონთქარი ეხლა ადვილად დასთანხმდება სახელმწიფოებსაო. სახელმწიფოებს დაურწმუნებიათ ხონთქარი, მაკედონიაში ქრისტიანი გენერალ-გუბერნატორი რომ დაინიშნოს, მაგით ოსმალეთის იმპერიას არა დაუშავდება-რაო.

◆ კულელი-ბურგასის სადგურზე მომხდარ აფეთქების თაობაზე, ბოლგარიის პარიზელ დიპლომატიურ აგენტს ლიუბომირ ზოლოტოვიჩს უთქვამს ფრანგულ გაზ. „მატენ"-ის თანამშრომელისათვის: „იქნება ეს აფეთქება მაკედონიელმა რევოლიუციონერებმაც მოახდინეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ აჯანყების მეთაურები არ ურევიან ამ საქმეში... მეთაურები განათლებული ხალხი არიან და არას დროს არ დასთანხმდებოდნენ ამისთანა საზიზღარ ბოროტ-მოქმედებას... მაგრამ არაფრიდან არა სჩანს, რომ აფეთქება აჯანყებულთ მოეხდინოთ... ამბობენ, იქნება ამ საქმეში ოსმალეთის პოლიცია ერიოსო... აჯანყებულნი ვერ იქმოდნენ ამ საქმეს... აჯანყებულთ ევროპის თანაგრძნობა სჭირიათ. ამიტომ მეთაურნი იმ თავითვე ყველას სასტიკად უშლიდნენ ქალებისა და ბავშვების ხოცვასა და ყოველ გვარ უდიერობას".

◆ მაკედონიელ კომიტეტების მუდმივი გაზეთი „ავტონომია" აცხადებს, სხვა და სხვა ოლქში ოსმალეთის ჯარმა 100 სოფლამდე აიკლო და ააოხრა და რამდენიმე ასი სული მოჰკლაო. სოფლების სახელები სულ თითოთითოდაა დასახელებული.

◆ მაკედონიის უმთავრესი კომიტეტი (სოფიაშია) დეპუტაციის გაგზავნას აპირობს ყველა იმ სახელმწიფოებთან, რომლებსაც ბერლინის ხელ-შეკრულობაზე ხელი აქვთ მოწერილი. დეპუტატად ორი სოფიელი პროფესორი გაიგზავნება: მილეტიჩი და გიორგოვი; დეპუტაციის მეთაურად მიტროპოლიტი სიმეონი დაინიშნება.

◆ ზოგიერთ მაკედონიელ წრეს განუზრახავს, კათოლიკე სარწმუნოება მივიღოთ, იქნება ევროპამ მაშინ უფრო გვიშველოსო, თორემ ეხლა, როგორც მართლ-მადიდებელ სარწმუნოების ხალხს, მაგდენად ყურს არავინ გვიგდებსო.

საფრანგეთი. პრეზიდენტი ლუბე ეხლა მაზენში ცხოვრობს. გაზეთები იუწყებიან, ლუბე მალე პარიზში დაბრუნდება და გარეშე საქმეთა მინისტრს დელკასეს მაკედონიის საქმეზე მოელაპარაკებაო. საფრანგეთის მთავრობას განზრახვა აქვს, მაკედონიას როგორმე დახმარება გაუწიოსო.

◆ გრენობლისა, ევრესა, შალონისა, ალბისა და ანგულების ეპისკოპოსებმა გამოუცხადეს გაზ. „ეკლერ"-ის თანამშრომელს, კათოლიკენი ყველაფერს, რაც კი ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევებას დააჩქარებს, უნდა ერიდნენო. ეს განცალკევება ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთიანად დიდ ზარალს მოუტანსო. შალონისა და ანგულების ეპისკოპოსებმა დაუმატეს, რაც ამ საქმეზე ნაკლებს ილაპარაკებთ, ის ემჯობინებაო.

◆ ლანდრესში ნადიმის დროს, სამხედრო მინისტრმა ანდრემ ადგილობრივ მცხოვრებლებს მადლობა გადაუხადა დახვედრისათვის და დაუმატა: დარწმუნებული ვარ, თქვენ რესპუბლიკას ეცით პატივი და არა საკუთრივ მეო. მინისტრმა სთქვა: „კომბთან ერთად ბრძოლა დავიწყეთ, ყველა იმის ბრძანებას ვასრულებთ და ბოლომდე დავემორჩილებით, რადგან ჯარის-კაცნი ბრძოლის დროს აღარა ჰფიქრობენ".

ინგლისი. ნიუკესტლში მდინარე ტაინაზე იქითა შაბათს ჩრდილოეთ ინგლისის ტრედ-უნიონისტთა და კოოპერატიულ საზოგადოებათა წარმომადგენლებმა კობდენის კლუბის თაოსნობით კრება მოახდინეს და სატამოჟნო რეფორმაზე მოილაპარაკეს. კრებას 700 დელეგატი დაესწრო,—ესენი 250 ათას მუშის წარმომადგენელნი არიან. კრებამ ორი რეზოლიუცია მიიღო. პირველ რეზოლიუციაში ნათქვამია: კრებას თავისუფალ ვაჭრობის სარგებლობა სწამს; ჩემბერლენი აცხადებს, თუ კოლონიებიდან მოტანილ საქონელს შეღავათიანი ბაჟი დაედება, მაშინ შეიძლება მოხუცებულ მუშებს პენსია დავუწესოთ და სხვა სოციალური რეფორმები მოვახდინოთო. კრება წინააღმდეგია, რომ პენსიების დაწესება და სხვა რეფორმების

ეროვნული

შემოღება ბაჟების დაწესებისაგან იყოს დამოკიდებული. მეორე რეზოლიუცია კობდენის კლუბის აგიტაციას, ბაჟების წინააღმდეგ გამართულს, იწონებს და იწვევს ყველა მუშას, ამ კლუბს ყოველნაირი დახმარება გაუწიეთო.

◆ „დეილი ქრონიკლ“-ს სწერენ მელბურნიდან (ავსტრალიიდან): აქ მფარველობით ბაჟების მომხრეებმა კრება მოახდინეს. კრებას ავსტრალიის ყველა წარმომადგენელნი დაესწრნენ. ავსტრალიის ფედერაციის მინისტრმა ვილიამ ლაინმა გამოაცხადა კრების დროს: ავსტრალიის მთავრობამ გადასწყვიტა, მომავალ საზოგადო არჩევნის დროს შეღავათიანი ბაჟები უმთავრეს საბრძოლველ საგნად გახადოს, მაგრამ ამავე დროს მთავრობა ინგლისის საქონელზე დაწესებულ ბაჟის დაკლებას სულაც არა ჰფიქრობსო.

იტალია. სამხრეთ იტალიის გლეხობა დიდ გაჭირვებასა და სიღარიბეში ჩავარდნილი. გაზეთები იუწყებიან, იტალიის სხვა და სხვა ადგილებიდან, მეტადრე რომის კამპანიიდან, ამბავი მოდის, გლეხები აღელდნენ და მემამულეებს ეცემიანო. არიჩიაში 300 გლეხი პრინც კინჯის მამულში შევარდა, მაგრამ პოლიციამ მალე განდევნაო. გლეხები ქალაქის მოედანზე წავიდნენ და მთავრობის წინააღმდეგ დემონსტრაცია მოახდინეს. ამისთანავე ამბები სხვა ადგილებშიაც ხდება.

ჩინეთი. ჩინელი პროგრესისტები მხნედ ცდილობენ, თავიანთ ხალხს ევროპის სწავლა მიაღებინონ და თავიანთ სამშობლო ევროპიულ წესზე მოაწყონ. მაგრამ ამათი მეცადინეობა ჯერ-ჯერობით ვერასა ხდება. ჯერ ჩინეთში ისევ ძველის წესის მოყვარულნი ბატონობენ. „ლაფანის სააგენტო“ იუწყება: პეკინის უნივერსიტეტი დახურეს. უნივერსიტეტი ქვრივ დედოფლის ბძანებით დაკეტეს, დედოფალი ყოველნაირად ცდილობს, რეფორმატიულ მოძრაობას ბოლო მოუღოს. ეხლა უნივერსიტეტი საბოლოოდ დახურეს, სტუდენტები შინ ბრუნდებიან. ქვრივ-დედოფლის გარდა უნივერსიტეტის დახურვას მეფის მოადგილემ ჩანჩიტუნგმაც ხელი შეუწყო: ამას წინად ჩანჩიტუნგს მიანდეს, უნივერსიტეტის პროგრამა შესცვალეო. ჩანჩიტუნგიც ადგა და ევროპის მეცნიერების მაგივრად ჩინელ კლასიკების შესწავლა გახადა სავალდებულოდ. სტუდენტებს სწავლაზე გული აუცრუვდათ და მარტო 50 კაცი-ღა დარჩა უნივერსიტეტში. ეხლა ესენიც შინ მიდიან.

ახალი ამბავი

◆ პიატიგორსკელ ვაჭარს ალექსანდროვსა და ინჟინერს როოპს განუზრახავთ კავკასიაში მთავარ ლიანდაგებიდან სხვა-და-სხვა მხარეს შტოების გაყვანა. სხვათა შორის, კავკასიის უმაღლესს მთავრობისთვის უთხოვნიათ, ნება დართოს, რომ **რკინის გზის შტო გაიყვანონ ქუთაისიდან ლეჩხუმში დაშხვთამდე.** როგორც „კავ.“ გადმოგვცემს, სიგრძე ახალ შტოს 70 ვერსი ექნება. დაიწყება ქუთაისიდან, გაივლის ოფურჩხეთსა, ნამახოვანსა, ვანსა, ლეგრიშსა, ორბელსა და მივა თხორში. სულ ექვსი სადგური გაიმართება. ალექსანდროვსა და როოპს აზრადა აქვთ ამისთვის სააქციონერო საზოგადოება შეადგინონ.

◆ ტფილისში არსდება **სამრევლო-საეკლესიო სკოლების საოლქო საბჭო.** როგორც გავიგეთ, ამ საბჭოს მდივნად ინიშნება ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ბერძნულ ენის მასწავლებელი ი. გრეკოვი.

◆ აზრადა აქვთ **ორი ახალი მეორე ხარისხიანი სკოლა,** (საიდანაც მასწავლებლები გამოდიან წერა-კითხვის სკოლებისთვის) კიდევ დააარსონ, ერთი ბაქოს, მეორე ტფილისის გუბერნიაში. ამ რიგად ტფილისის გუბერნიას სამი მეორე ხარისხის სკოლა ექნება: ტირძნისისა (ვაჟებისთვის), ბოდბისხევისა (ქალებისთვის) და ახლად დაარსებული.

◆ **დუშეთის მაზრის სოფლების** არანისისა, მისაქციელისა, ნატახტარისა და ნაღორევის საზოგადოებებს განაჩენით დაუდგენიათ, დააარსონ სამრევლო სკოლები.

◆ **ოზურგეთის მაზრის ზოგიერთ მემამულეებს,** როგორც „ნოვ. ობ.“ გადმოგვცემს, შუამდგომლობა აღუძრავთ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წინაშე. მემამულეებს განუცხადებიათ, რომ წლეულს ჩვენის მამულების დიდი ნაწილი დაუმუშავებელი დაგვრჩა და ფულის გადახდა გაგვიჭირდებაო. ზედამხედველ კომიტეტსა და გამგეობას დაუდგენიათ, ნება მისცენ მემამულეებს, რომ ნახევარის წლის შესატანი ორის წლის განმავლობაში შეიტანონ.

◆ ამას წინად, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ტფილისის მცხოვრებმა არტემ კარაგოზოვმა სთხოვა საგუბერნიო გამგეობას ნება მომეცით **ტფილისიდან საბურთალომდე ცხენის რკინის გზა** გავიყვანოო. რადგან გზამ ტფილისის საზღვრებშიაც უნდა გაიაროს, გუშინ საგუბერნიო გამგეობა შეეკითხა ქალაქის გამგეობას, ქალაქი წინააღმდეგი ხომ არ იქნება, რომ კარაგოზოვს რკინის გზის გაყვანის ნება მისცენო.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭომ განსაკუთრებული კომისია აარჩია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა პროექტი წესდებისა ქალაქში მოსამსახურეთა **[illegible] შესახებ.** კომისიამ პროექტი უკვე წარუდგინა ქალაქის გამგეობას. ეს პროექტი ამავე შემოდგომაზე განსახილველად წარედგინება ქალაქის საბჭოს. კომისიას ამ პროექტის შედგენის დროს უსარგებლნია პეტერბურგისა, კიევისა, ვორონეჟისა და სხვა ქალაქის თვით-მმართველობათა მიერ გამოცემულ წესდებით.

◆ 4 სექტემბრიდან **თიანეთში საქმეების განხილვას** შეუდგება ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსია. სესსიამ უნდა განიხილოს 8 საქმე, ამათ შორის 3 საქმე ტუსაღებისა. რადგან თიანეთის მაზრის სატუსაღო დანგრეულა, მაზრის უფროსმა სთხოვა სასამართლოს თავმჯდომარეს, ამ სამის საქმის განხილვა სხვა დროისათვის გადასდეთ, რადგან საქმის გარჩევის დროს ტუსაღებს ვერსად შევინახავთო. თავმჯდომარემ ეს ამბავი აცნობა გუბერნატორს და სთხოვა, დროებითი სატუსაღო მოვაწყობინეთ თიანეთშიო.

◆ ახალის სისტემით ქუჩების მომკირწყლელი კომისია ნიკოლოოზის ქუჩის მოედნიდან უკვე შეუდგა **აგზალის ქუჩის მოკირწყვლას.**

◆ **შავის-ზღვის მრეწველთა** საბჭოსთან ინჟინერ-კონსულტანტად ინჟ. მიხაილოვი იყო. როგორც „ნოვ. ობ.“ გადმოგვცემს, მიხაილოვს ამ თანამდებობისთვის თავი გაუნებებია.

◆ **გაზარ თანურაშვილის მოკვლას** დაბა სურამში აბრალებდნენ ადგილობრივ მეხანჯლე ლეკებს. ლეკები დააპატიმრეს კიდეც. ამ ჟამად გამოძიებას უდანაშაულოდ უცვნია ლეკები, ამიტომ გაუნთავისუფლებიათ.

◆ ტფილისის **ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი** ლინდენი შავი ზღვის პირად არსებულ საფოსტო დაწესებულებათა სარევიზიოდ წავიდა.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის** თანაშემწე კოჟინი ამ დღეებში მიდის ნუხის საფოსტო ტრაქტის დასათვალიერებლად და ფოსტის კანტორის სარევიზიოდ.

◆ **სახელმწიფო კანტროლიორი** ინფანტერიის გენერალი პ. ლ. ლოპკო, როგორც „ბაკ. იზ.“ გადმოგვცემს, ამ ცოტა ხანში ბაქოს ჩავა საკანტროლო დაწესებულებათა სარევიზიოდ.

◆ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო ბაქოს თვით-მმართველობას, რომ 22 ოკტომბერს **ქალაქის მცხოვრებთა აღწერა მოახდინოს.**

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დედათა **პროფესიონალურ სახელოსნო სასწავლებლის** დირექტორად დანიშნა ნატალია დრობიშევსკისა.

◆ დაღესტნის სამხედრო გუბერნატორმა გამოუგზავნა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს ერთი ცალი იმ სტატისტიკურ ცნობებისა, რომელიც 1902 წელს წარუდგინა უმაღლეს მთავრობას. როგორც ამ ცნობებიდანა სჩანს, 1902 წელს **დაღესტნის ოლქში 639,307** მცხოვრები ყოფილა.

◆ ამას წინად რუსული გაზეთები სწერდნენ, რომ ვართაშენში (ნუხის მაზრა) **დასჭრეს ვიღაც მღვდელიო.** როგორც გვატყობინებენ, ვართაშენში კი არა, ქალაქ ნუხში დაუჭრიათ ვართაშენის სამრევლოს მღვდელი ჯეირანაშვილი.

◆ ამას წინად სავაჭრო შუამავალმა გიორგი დუნტაევმა განაცხადა ქალაქის გამგეობაში, რომ უცხო სახელმწიფოთა და რუსეთის ბანკებში დიდძალი თანხა მაქვს უძრავ მამულების გირაოთაო. იგი შუამავლობას უწევს ქალაქის თვით-მმართველობას ობლიგაციების და სხვა ამგვარ ფასიან ქაღალდების გასაღებაში. ამიტომ თუ ქალაქის გამგეობა მოისურვებს და მომანდობს ობლიგაციების გაყიდვას, შემატყობინონ პირობებიო. გუშინ გამგეობამ აცნობა, რომ ქალაქს აღებული აქვს სამი საობლიგაციო სესხი: 750,000 მანეთის, 800,000 მან. და 800,000 მან. მესამე სესხის ობლიგაციებისა გაუნაღდებელია 957 ობლიგაცია 557,800 მანეთისა. აქედან 509 ობლიგაცია 1000 მანეთიანი და 448 ობლიგაცია 100 მანეთიანია. გამგეობა სწერს დუნტაევს, თუ მოისურვებთ ამ ობლიგაციებისა და სხვა სესხების ობლიგაციათა განაღდებას, შეგვატყობინეთ თქვენი პირობებიო. გამგეობა ამასთანავე ატყობინებს დუნტაევს, რომ ქალაქის ბიუჯეტი უდრის 1,438600 მანეთს.

◆ ტფილისის სასწავლებელთა გამგე-კომისიის საქმის მწარმოებლად და ქალაქის შორეულ დაწყებით სკოლების სამეურნეო ნაწილის გამგედ ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა დიმიტ. მაღნიძე.

◆ რკინის გზის საჭიროებისათვის რკინის გზის გამგეობამ ამას წინად სთხოვა მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს, დაუთმოს გუმბრის მაზრის სოფელ კარკუჯახში მცხოვრებთა სანადელო მიწებიდან 4,800 ოთხ. კუთხი საჟენი. რწმუნებულმა შეატყობინა მიწათ-მოქმედების დეპარტამენტს, რადგან აღნიშნულ სოფლის მცხოვრებთ საკმაო მიწები აქვთ, შესაძლებელია დაუთმონ რკინის გზას ადგილიო.

◆ ნუხის სამაზრო ხაზინა, რომელიც ქალაქგარედ ციხეში იყო მოთავსებული, ახალ სადგომში გადმოუტანიათ შიგ შუაგულ ქალაქში. ამ ხაზინას რამდენჯერმე დაეცნენ ყაჩაღები. ახალი შენობა აკურთხეს 15 აგვისტოს.

◆ საქართველოს საექსარხოსოს დროებით მმართველს უმაღლეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რომ გუმბრში მოკლულ მღვდლის ვასილოვის ოჯახს დაენიშნოს მთელი პენსია და სახელმწიფო შენობიდანაც არ დაითხოვონ.

◆ როგორც სოფელ მარტვილიდან (სენაკის მაზრა) გვატყობინებენ, ამას წინად იქ მახა წოწორს ჩხუბის დროს ხანჯლით მოუკლავს თავისი მამა.

◆ მეტეხის აღმართის შეყოლებაზე, ტურკოვსკის ვიწრო ქუჩა (მეშვიდე საპოლიციო უბანში) მეტად უსუფთაოდ და უსინათლოდ არის მიტოვებული. არც მოკირწყლულია ქვით და არც საკმაო ფარნები აქვს. მცხოვრებნი წვიმის დროს ლაფში იფლებიან.

რუსეთის ქრონიკა

◆ კომისიას, რომელიც ცხენის რკინის გზების საქმეს განაგებს პეტერბურგში, შეუმუშავებია სხვა-და-სხვანაირი საშუალებანი, დაბალ მოსამსახურეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სხვათა შორის, განზრახვა ჰქონიათ დღეში მხოლოდ რვა საათი ამუშაონ მოსამსახურენი.

◆ ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ვლადივოსტოკსა, ეკატერინოსლავსა, ნიჟნი-ნოვგოროდსა, დონის როსტოვსა, სარატოვსა, ტომსკსა და ხარკოვში დაინიშნა ცალკე ცენზორების თანამდებობანი.

◆ რუსეთის ყველა სამეურნეო საზოგადოებათ გაეგზავნა პროგრამმა მეფუტკრეთა კრებისა, რომელიც 1904 წელს სექტემბერში მიწვეულ იქმნება მოსკოვს.

◆ რუსეთის მწერალთა სალიტერატურო ფონდი დღით-დღე იზრდება. ამ ჟამად ფონდის თანხა ნახევარ მილიონს აღემატება. ეხლა ამ ფულს 30 ათასი მანეთიც მიემატა. ქ-ნმა პალაშკოვსკისამ ადგილი დაუტოვა სალიტერატურო ფონდს. ეს ადგილი სამხედრო უწყებამ აიღო და ფონდს 24,500 მანეთი მისცა.

◆ ზოგიერთ სახელმწიფო რკინის გზებთან არსდება განსაკუთრებული ბიუროები, რომელთაც რკინის გზებზე წიგნთ-საცავ-სამკითხველოები უნდა გამართონ და სკოლებს მიაწოდონ წიგნები და ჯადო-ფარნები.

◆ „პრავიტ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია, რომ 1905 წლის 1 ივლისამდის საბოლოოდ იქმნება შემუშავებული და გამოქვეყნებული 1897 წელს მომხდარ სრულიად რუსეთის აღწერის საბუთები.

◆ ციმბირის მიყრუებულ ადგილებში ამ ჟამად მოგზაურობს ერთი უცხოელი, დანიელ პატერსონი, რომელსაც ბევრი საინტერესო მასალა შეუგროვებია ციმბირის მკვიდრთა და ამ ქვეყნის ბუნების შესახებ. ამ უცხოელს გზაში ფული შემოჰკლებია და ტომსკში მიუმართავს ერთის გამომცემლისათვის: უნდოდა მიეყიდნა მისთვის ზოგი თავისი ნაწერები ციმბირის შესახებ. გამომცემელმა მხოლოდ 5 მან. შეაძლია დანიელ მწერალს, რამაც ძლიერ გაოცა თურმე უცხოელი.

◆ სახელმწიფო საბჭო ამ მოკლე ხანში შეუდგება განხილვას საკითხისას ცოლ-ქმართა ცალ-ცალკე ცხოვრების შესახებ.

◆ ციმბირში 109,890 დესეტინა სახელმწიფო ადგილია დანიშნული კერძო პირთათვის, რომელნიც შეუდგებიან იქ მეურნეობას 1901 წელს უმაღლესად გამოცხადებულ წესების თანახმად.

პრესსა

ჩვენს მკითხველს ეცოდინება, რომ თავადობისა და აზნაურობის ოც და-ორ მოტრფიალეს ქუთაისის გუბერნიაში უკვე ჩააბარეს საბრალმდებლო ოქმი. თავის დროზე მკითხველს ვერ გავაცანით ამ საქმის გარემოება, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო. ეხლა სატახტო გაზეთები ალაპარაკდნენ და ჩვენც შეგვიძლია ცოტა რამ ცნობა მივაწოდოთ ჩვენს მკითხველებს:

„1866 წლის 17 აპრილს ქუთაისის გუბერნიაში დაარსდა უმაღლესად დამტკიცებული დროებითი კომისია სამეგრელოს მცხოვრებლების წოდებრივ უფლებათა განსახილველად. 1875 წელს, მეფის მოადგილის რჩევის დადგენილებით, თავადებად და აზნაურებად იცნეს მხოლოდ ის გვარები, რომელთა შესახებ ერთის აზრისანი იყვნენ როგორც ხსენებული დროებითი კომისია, ისე შემმოწმებელი კომისიაც.

მორჩა და გათავდა, განა, მკითხველო? ალბად, მაშინ ბევრს ასე ეგონა, მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა.

1890 წელს იმავ წოდებრივ უფლებათა განხილვა მიენდო ქუთაისის გუბერნიის დეპუტატთა საკრებულოს. 1890 წლის კანონით თავადობის ან აზნაურობის მაძიებელს ხუთის წლის განმავლობაში (შემდეგ კიდევ ხუთი წელიწადი მიუმატეს) უნდა წარმოედგინა წერილობითი საბუთები თავადობისა თუ აზნაურობისა.

და სწორედ ამ 1890 წლის კანონს მოჰყვა შედეგად ყალბ წერილობით საბუთების მოხერხებული ფაბრიკაცია.

უმთავრეს წერილობით საბუთად ითვლებოდა ის სიგელები სამეგრელოს მთავრებისა, სადაც მაძიებელი თავადად ან აზნაურად იყო მოხსენებული.

ამ სიგელების სინამდვილე-კი უნდა შემოწმებულიყო სამეგრელოს მთავრის წიგნით, სადაც იწერებოდა მთავრების ბოძებანი და ბრძანებანი, და სენაკის და ზუგდიდის მაზრის წიგნებით. ბევრი მაძიებელი გახდა თურმე ბედნიერი „გაკეთილშობილებით“. მაგრამ ამ დროს საზოგადოებაში ხმა გავრცელდა, რომ „გაკეთილშობილება“ ყალბ საბუთების საშუალებით მოხდა და რომ ქუთაისის გუბერნიის ზოგ ადგილს მეტად მაღალ საფეხურზე სდგას ყალბის მქნელობის წარმოება.

ასეთ ხმის ჭეშმარიტება დამტკიცდა იმითი, რომ ერთს ეჭვით ყალბის მქნელს შეუკვეთეს აზნაურობის საბუთის შედგენა კალენდრიდან შემთხვევით ამორჩეულ პირისათვის. 1900 წლის 21 იანვარს, ღამით, ქუთაისში და სხვაგანაც გაჩხრიკეს რამდენიმე პირი და აღმოაჩინეს ბევრი ყალბი სიგელი სამეგრელოს მთავრებისა. თითქმის ამავე დროს ქუთაისის ბულვარში დარაჯს ენახა მთელი შეკვრა ამ გვარ საბუთებისა... ექსპერტიზის საშუალებით დამტკიცდა, რომ 600 საქმეში 2000 ყალბი საბუთი იყო. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ყალბის მქნელები ატყუილებდნენ მაძიებელთ—არწმუნებდნენ, რომ საბუთი არხივშია ნაპოვნი, და იმდენ ფულს ახდევინებდნენ, რომ მაძიებელნი ღატაკდებოდნენ“.

ჩვენში ხომ სხვა საქმე არ მოიპოვება, გარდა „გაკეთილშობილებისა“ და „გაპრაპორშჩიკებისა“, რომ ღირდეს გალატაკებად კი არა, სულ უბრალო და შეუმჩნეველ ხარჯის გაღებადაც-კი!

„ჩვეულებრივ ყალბის მქნელთა ბრბო საგანგებო აგენტების საშუალებით გამოსძებნიდნენ ისეთ პირებს, რომელთაც სურვილი და განზრახვა ჰქონდათ თავადობის ან აზნაურობის მიღებისა. ასეთ შემთხვევაში ყალბი დოკუმენტი იყო საბაბი საქმის დაწყებისა. უმთავრესად ორ-გვარ ყალბ საბუთებს აკეთებდნენ—ლევან დადიანის სიგელებსა და დავით დადიანის ბრძანებებს მდივანბეგებისადმი. საბრალმდებლო ოქმის სიტყვით, ყალბის მქნელების ბრბო მოურიგდა ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს ზოგ დაბალ მოხელეებს (ამ სამმართველოში ინახება სამეგრელოს

ეროვნული

მთავრების წიგნები) და საჭიროების მიხედვით შოულობდნენ მთავრების წიგნებს; შეიკრიბებოდნენ ერთ დუქანში, ამოხევდნენ მთელ ფურცლებს და მათ მაგიერ ჩააწებებდნენ ახლებს, სადაც შეტანილი იყო ყალბი დოკუმენტები.

თითო ჰანამა ყველას არგუნა დიდად გულ-უხვმა ჰედმა და ჩვენ რად დავივიწყდებოდით!

⁂

მთელი რუსეთის დიდ ქალაქების საზაფხულო ბაღებში მომღერალი ქალები ართობენ თავისი გალობით დაღვრემილ ქალაქელ მკვიდრთ. სადამო ჟამს სამსახურ-გარდახდილი მოხელენი და ჩასუქებული ბურჟუები იკრიბებიან ამ ბაღებში თავის ესტეტიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ღვინო, სიმღერა და ქალები. ეი სამი საგანი საზაფხულო ბაღების სტუმართა შემაერთებელი. შეზარხოშებულ სტუმრებს, რასაკვირველია, დარდიც არა აქვთ იმისი, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება მომღერალი ქალი, რამ აიძულა იგი, რომ თითქმის თავიდან ფეხამდის გატიტვლებული წარსდგება ხოლმე მის თვალ წინ და „ქვენა გრძნობებს“ უღვიძებს თავის მაყურებელს.

გაზ. „ბაკინს. იზვესტ.“-ს თანამშრომელმა საინტერესო საბუთი ჩაიგდო ხელში—კონტრაქტი ერთის ამ გვარ მომღერალ ქალისა და ბაქოს საზაფხულო ბაღის პატრონის შორის შედგენილი. ამ კონტრაქტის ძალით, მომღერალი ქალი მხოლოდ იმ შემთხვევაში არ მოკვდება შიმშილით, თუ თავისი სხეულით ივაჭრებს.

ბაღის პატრონი 15 მან. ჯამაგირს აძლევს მომღერალ ქალს, და თუ ეს უკანასკნელი ავად გახდა და რამდენიმე დღე არ იარა, ჯამაგირს უნდა გამოეკლოს. თუ ვინიცობაა პოლიციამ აკრძალა ბაღში გასართობების გამართვა, ბაღის პატრონი კონტრაქტის ვადის შესრულებამდის უსპობს მომღერალ ქალს ჯამაგირს.

ამ 15 მანეთსაც არ აძლევს მთლად მეპატრონე მომღერალ ქალს, 5 მან. უკლებს ყოველ თვეს ტანსაცმელის ქირაში. დარჩა თუმანი, რომლიდანაც კიდევ ერგება ერთი ნაწილი „პატრონს“, რომელიც ხშირად აჯარიმებს თავის მოსამსახურეთ. მრავალი ვალდებულება აწევს კისერზე მომღერალ ქალს, და თვითეულ პაწია ვალდებულების დარღვევასაც ჯარიმა მოსდევს. ზოგჯერ მას მთელი თვის ჯამაგირის ნახევარს წაართმევს ხოლმე უწყალო პატრონი. მაგალითად, კაბა თუ გააფუჭა მომღერალმა ქალმა, პატრონი აჯარიმებს მას თავის შეხედულებით, იმდენად, რამდენად საჭიროდ იცნობს. მომღერალ ქალის ვალდებულებანი შემდეგია: მან უნდა იმღეროს მარტო „სოლო“, უნდა მიიღოს მონაწილეობა ხოროში, კონცერტებში, სათეატრო პიესებში, ცოცხალ სურათებში, სადღესასწაულო პროცესიებში და ყოველ დღე ცეკვაში—ბალში, თეატრში, ღია სცენაზე, რესტორანებში, საჯარო სეირნობაში, ყველგან, მთელი რუსეთის იმ ქალაქებსა და ადგილებში, სადაც „პატრონი“ მას გაჰგზავნის; უნდა დაესწროს რეპეტიციებს, უნდა იყოს ზრდილობიანი, ფხიზელი და წყნარი, უნდა შეასრულოს პატრონის ყველა ბრძანება და განკარგულება.

მკითხველი ნათლად ჰხედავს, რომ ყველა ამ ვალდებულებათა ასრულება შეუძლებელია, ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ მომღერალ ქალს სულ ცოტა რამ რჩება ჯამაგირიდან. ამავე დროს მომღერალი ქალი ვალდებულია იქონიოს ორი კაბა, სხვა-და-სხვა ფერის ფოსტლები, ტანსაცმელი წმინდად შეინახოს და სხვ.

კონტრაქტში ერთი საყურადღებო მუხლია მოყვანილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ მომღერალმა ქალმა ცალკე კაბინეთში ნაშოვარი ფული მეპატრონეს უნდა გაუზიაროს, ნახევარი უნდა მისცეს.

დასასრულ თუ მომღერალი ქალი თავის საქმეს თავს დაანებებს, უნდა გადაიხადოს 150 მან. „ნეუსტოიკა“ პატრონის სასარგებლოდ.

დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა კრება

24 აგვისტოს ომან დგალიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა კრება დურგალთა ამხანაგობის „შრომისა“. კრებას დაესწრო 20 წევრი. პირველად კრებამ განიხილა შემოსავალ გასავლის ანგარიში 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე. ამ ხნის განმავლობაში გამგეობას გაუსტუმრებია 207 მანეთი ვალი და 170 მანეთი შარშანდელ წლის ზარალი. ქარხანაში იარაღი ჰქონია ამხანაგობას 434 მანეთისა, დაწყებული საქმეები 111 მან. 20 კაპ., დამზადებული მებელი 966 მან. 10 კაპ., ამხანაგობის მართებია 385 მან. 27 კაპ., საწევრო ფული არის შემოტანილი ამხანაგობაში სულ 1242 მან. ზოგიერთ წევრებმა აღნიშნეს, რომ ანგარიში სრულიად არ არის შედგენილი და საჭიროა ხელ-ახლა გადათვალიერება და შესწორებაო. ბოლოს კრებამ დაადგინა მიენდოს გამგეობასა და სარევიზიო კომისიის შეერთებულ სხდომას ხელ-მეორედ გადაათვალიეროს ანგარიში, შეასწოროს, შეავსოს და განსახილველად წარუდგინოს კრებას, რომელიც ამ ცოტა ხანში უნდა დაინიშნოს. თუ სარევიზიო კომისიის რომელიმე წევრი რაიმე მიზეზის გამო თანამდებობას ვერ შეასრულებს, მის მაგიერად მოწვეულ უნდა იქმნას დამფასებელ კომისიის წევრი. როგორც აღნიშნული გვქონდა, წარსულ საზოგადო კრებაზე ბევრმა წევრმა განაცხადა, რომ მეკარეტუშის მოქმედების მეოხებით ამხანაგობას დიდი ზარალი მოუვიდა და საჭიროა გამგეობის მოქმედების გადათვალიერებაო. კრებამ მაშინ ამ საქმის გამორკვევა მიანდო გამგეობისა და სარევიზიო კომისიის შეერთებულ სხდომას. ახლანდელ კრებაზე, ზოგიერთმა წევრმა მოითხოვა, რა ჰქმნით, მოხსენება დაამზადეთ თუ არაო. აღმოჩნდა, რომ ახლანდელ გამგეობას ეს ვერ შეუსრულებია იმ მიზეზის გამო, რომ სარევიზიო კომისიის წევრნი მოუცლელობის თუ სხვა მიზეზის გამო ვერ იკრიბებოდნენ. კრებამ მეორედ დაავალა ეს საქმე გამგეობასა და სარევიზიო კომისიას. ზოგიერთმა წევრმა აღნიშნა, სარევიზიო კომისიის წევრები გასამრჯელოს არაფერს იღებენ და კარგი იქნება, დაუნიშნოთ გასამრჯელოო. კრებამ დაადგინა, მიეცეს გასამრჯელოდ კომისიის წევრებს თითოს თითო მანეთი ყოველ სხდომაზე დასწრებისა და მუშაობისათვის. აგრეთვე გასამრჯელო მიეცეს დამფასებელ კომისიის წევრთ, როცა იმათ გამგეობის მოწოდებით სარევიზიო კომისიის წევრთა მაგიერად მუშაობა დასჭირდებათ.

ამხანაგობა აგერ 7—8 წელიწადი არსებობს და ბევრს წევრს დღემდე საწევრო ფული 25 მანეთი სრულიად არ შეუტანია ამხანაგობაში, თუმცა წევრად ითვლება. ზოგს 10 მან. აქვს გადახდილი, ზოგს 5 მან., ზოგს—15 მან. და სხვ. ბევრმა წევრმა კრებებზე მოინდომა სრული ხმის ქონა, ეს-კი წესდების წინააღმდეგია. კრებამ დაადგინა დაავალოს გამგეობას, განუმარტოს იმ წევრებს, რომელთაც სრული საწევრო ფული არა აქვთ შემოტანილი, გადაიხადონ იგი, წინააღმდეგ შემთხვევაში ხმის ნება არ მიეცემათ კრებაზე.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ საწარმოო თანხის შექმნის შესახებ. გამგეობა ამბობს, რომ მოთხოვნილება ჩვენის ქარხნის ნაწარმოებზე გაიზარდა და მუშტარი მოგვემატა, რადგან ჩვენის ქარხნის ნაწარმოები სუფთაა და მაგარი, ამასთან დროზედ და პირობისად ასრულებთ საქმეს. მიუხედავად ამისა, შეფერხებულნი ვართ საწარმოო თანხის უქონლობით. კრებამ დაადგინა, ნება მიეცეს ამხანაგობის გამგეობას, ისესხოს 500 მან. რომელისამე საკრედიტო დაწესებულებისაგან საჭირო მასალის შესაძენად. კრებამ ნება მისცა აგრეთვე გამგეობას, თუ საჭირო იქნება, ამ ფულის ნაცვლად მასალა აიღოს რომელისამე ფირმისაგან. გამგეობამ აცნობა კრებას, რომ ქარხნის ერთ მომუშავეს წინააღმდეგობა გაუწევია გამგესთვის. ამის გამო გამგეობამ სთხოვა კრებას ნება დართოს ქარხანაში დისციპლინის დასამყარებლად შემოიღოს დაჯარიმება იმ ხელოსნებისა, რომელნიც გამგეობის კანონიერს განკარგულებას არ დაემორჩილებიან. კრებამ დაადგინა, გამოირიცხოს ხსენებული მომუშავე ქარხნიდან, მიენდოს ამ საქმის გამოძიება გამგეობას შემდეგ კრებისათვის მოსახსენებლად და ნება მიეცეს გამგეობას, დააჯარიმოს ხელოსანნი.

დასასრულ კრება შეუდგა ახალ წევრთა არჩევას. მოთხოვნილი იყო სულ 7 კაცი. აქედან კენჭის ყრით მიიღეს: თავ. ილია გრ. ჭავჭავაძე, ადვ. სგ. თურქესტანოვი, ივ. გ. ბაღდაშვილი, ილ. ფ. ჟამიერაძე.

ორიოდე სიტყვა ჩვენებურ საქმის გამო

—

განმარტება არ უნდა, მგონი, იმ აზრს, რომ თუ კაცს თავის თავის რწმენა არ აქვს, ვერავითარ საქმეს ვერ გააკეთებს. რაც უნდა ძნელი იყოს რამე აჩემებული მიზანი, იმისი დაახლოვება მაინც ადვილია, თუ გაბედულად, მხნედ, სრულის იმედით მიისწრაფვის კაცი მის მისაღწევად; წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი ადვილი, უმნიშვნელო საქმე ძნელი გასაკეთებელია. ასეა, თუ არ გწამს თვით საქმე, თუ შენში არ არის ამ საქმისადმი შრომაზე წამხალისებელი სურვილი, გამოწვეული მხოლოდ იმედით და ნდობით. ეს ჭეშმარიტება ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ, როცა ჩვენებურ საზოგადო საქმეების უნუგეშო და უხალისო მდგომარეობაზე ვფიქრობთ, ანუ ვბჭობთ.

მართლა, რა ამბავია ეს, რომ თითქმის ყოველ წელს არსდება ჩვენში მრავალი საზოგადო ხასიათის საერთო საქმე და საფუძვლიანი მიმართულება, სასურველი ბოლო-კი არც ერთს არ ემჩნევა? ერთად-ერთი ახსნა ამისა შეიძლება იმით, რომ ჩვენ, ქართველებს, ქართული დაწყებულება, ქართული საქმე არა გვწამს. ყოველსავე საერთო საქმის დაწყების დროს თითქოს წინდაწინ გადაწყვეტილი გვაქვს, რომ ჩვენის მეცადინეობიდან არავითარი ხეირი არ გამოვა. თუ გარეგნულად, ფორმალურად თანაგრძნობას უწევთ საერთო საქმეს, ეს რადგაც მექანიკურ, ინსტიქტიურ გრძნობის მიზეზია: თითქოს სამადლო საქმეს ვაკეთებდეთ, საქველ-მოქმედო რასმეს ვეწოდეთ.

ასეთი განწყობილება-უიმედობა, უხალისობა ჩვენებურ საზოგადო საქმეების მიმართ ემჩნევა არა მარტო ეგრედ-წოდებულ „მსოფლიო უკულმართობის გამო მომტირალე ინტელიგენციას“, არამედ თვით მთელს, სკოლა-მეცნიერებისაგან ხელ-უხლებელს, გაულახველ მდაბიო ხალხსაც. დასამტკიცებლად იმისა, თუ რამდენად გულ-გატეხილია, უკიდურეს უიმედობით მოცულია ხალხის უმრავლესობა ქართულ დაწყებულების და საქმის მიმართ, აქ ნებას მივცემ ჩემ თავს ერთი საყურადღებო მაგალითი მოვიყვანო: ამას წინად ერთის სასარგებლო, მნიშვნელოვანის საქმით ვიყავი ძლიერ გატაცებული: მინდოდა პირველი ქართული სააქციონერო საზოგადოება შემედგინა მთავარ ლიანდაგთან შემაერთებელ რკინი გზის შტოების მოსაწყობად საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდან. საჭირო თანხისთვის მპირდებოდნენ საზღვარ-გარეთ სამ პროცენტიანის სესხის მოცემას, მინდოდა მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებთაგან დაფუძნება საზოგადოებისა და შემუშავებულ წესდებაზე ხელის მოწერა. რა თქმა უნდა, უპირველესად ყოვლისა, იმათ მივმართე, რომელთაც შეუგნიათ ეხლანდელის ცხოვრების მოთხოვნილება და ვაჭრობა-მრეწველობის შემწეობით თვალ-საჩინო სარგებლობა მოუპოვებიათ. თითქმის ყველამ ერთი და იგივე პასუხი მომცა: „ჩვენ, ქართველებს არ შეგვიძლიან დიდის საქმის დაწყება“... „ვინ გაიგონა ჩვენებურ კაცისაგან ხეირი“... მაგრამ ყველაზე უფრო ტიპიური პასუხი მომიგო ერთმა: „ქართველმა კაცმა რომ ოქროებით გავსებული ოთახი მაჩვენოს სადმე უდაბნოში და შემახანაგება მთხოვოს, არა თუ დავსთანხმდები, იმ მხარედან გადავსახლდები, სადაც ქართველ კაცისაგან ამოჩენილი ოქროს მადანი დავინახო“.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ ეს კერძო კაცის გაზვიადებული აზრია და ხალხის უმრავლესობას ასეთი შეხედულება არა აქვს ჩვენებურ საქმეზედაო, მაგრამ შემიძლია დაბეჯითებით ვსთქვა, რომ ეს აზრი, ასეთი შეხედულება მართლა ტიპიურია ჩვენს საზოგადოებაში. ამაზე შორს პესსიმისტიური შეხედულება ჩვენებურ საქმეზე ვერ წავა. ამის შემდეგ გასაკვირველი არ არის, რომ ყოველი ჩვენებური საქმე სულს ჰღაფავს და ვერც ერთი დაწყებულება სასურველ ნიადაგს ვერ ჰპოულობს. რა თქმა უნდა, ეს ერთგვარი სულიერი ავადმყოფობაა, ასეთ მდგომარეობას ექიმობა უნდა, მაგრამ სანამ მკურნალნი მოგვეშველებიან, ჩვენი საზოგადო საქმეები, მგონი, გაჰქრებიან.

ეს მწარე მოსაზრება გამახსენდა ეხლა, როდესაც შემთხვევით გავიგე, რომ ერთი ფრიად საყურადღებო, სასარგებლო, საზოგადო საქმე უკვე დაიწყო საქართველოში: „სავაჭრო-საკომისიონერო ამხანაგობამ „გეორგიამ“ დაიწყო მოქმედება ბათომსა და მარსელში. განმარტება არ უნდა, რომ ეს საქმე სულზე მოსასწრები საშუალებაა ჩვენთვის: ასეთ დაწესებულებას თვალ საჩინო მნიშვნელობა ექმნება, თუ კარგად წაიყვანეს. სირცხვილია, რომ აგერ 40 წელიწადია, რაც ქართველი ხალხი ევროპიულ ცხოვრების პირობებით სარგებლობს და ერთი მართლა ევროპიულად დაფუძნებული საზოგადო საქმე ვერ შეუქმნია. როცა ჩვენში ვინმე უცხოელი გაჰბედავს და იტყვის, რომ ჩვენ, ქართველები, უნიჭონი ვართ და გადაგვარების გზაზე ვდგევართ, მზადა ვართ თავი შევსწიროთ და ეროვნულ თავ მოყვარეობის გამო სასტიკ დანაშაულობასაც ჩავიდენთ, მაგრამ ამავე დროს ერთ „ლოთობის“ საფასურს არ გამოვიღებთ საერთო საქმის ხელის გასაწყობათ. უნდა ვიწამოთ ქართული საქმე, თორემ ყველა უცხოელს უფლება ექნება ხმა მაღლა შემოგვძახოს, რომ უნიჭონი ვართ.

ნიკო თავდგირიძე.

დაბა-სოფლები

—

სამტრედია (იმერეთი). ამას წინად ვწერდით, რომ აქაურმა საზოგადოებამ დაადგინა, საქალებო სკოლისათვის საკუთარი მიწა და შენობა შეიძინოს. ამ საქმის განსახორციელებლად საზოგადოებამ კომიტეტიც აარჩია. კომიტეტმა ბევრის ძებნის შემდეგ აარჩია ერთი ადგილი. მაგრამ მთავარი ის არის, რომ კომიტეტს ფული არა აქვს. კომიტეტმა მიჰმართა დაბის დეპუტატებს, რომელთაც შემოუთვლიათ, რომ დაბას 100 მან. მეტი არა აქვსო. აქაურ „მამებს“ მხოლოდ ასეთ საკეთილო საქმეებისათვის არ მოეპოვებათ ფული, საზოგადოება ყურსაც არ იბერტყავს საქალებო სკოლის ადგილის და შენობის შეძენისათვის. საზოგადოება ამბობს: ჩვენ ერთ კაპეიკსაც არ გავიღებთ იმ დრომდე, სანამ „მამები“ იმ 200 მან. არ წარმოადგენენ, რომელიც იმათ ხელში აღმოაჩინა სარევიზიო კომისიამაო. საჭიროა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს საზოგადოებამ.

ამ ერთი კვირის წინად გლეხი ფი. ხუჭუა ს. საჭილაოში მიდიოდა თურმე სერებრიაკოვის ქარხანაში ხე-ტყის საყიდლად. როგორც-კი სამტრედიას გასცილდება, გამოუვარდნია 3 კაცი, გლეხისათვის წაუჭერიათ კისერში ხელი, წაუქცევიათ და წიხლები დაუშინიათ. ბოლოს წაურთმევიათ 22 მ. და წასულან. ამავე ადგილას ამ მოკლე ხანში ორჯერ მოხდა ასეთი თავდასხმა. 21 აგვისტოს აქაურმა ბოქაულმა აღმოაჩინა ხუჭუას გამძარცველნი. ესენი ყოფილან სოფ. ხუნწულის მცხოვრებნი 3 ძმანი მ—ძეები. სამივენი დაამატიმრეს.

ხალხი აქეთ ძალიან სწუხს იმის გამო, რომ სიმინდის მარცვალს რაღაც შეშელა გაუჩნდა. საჭმელი სიმინდიც ვერ გამოუძებნიათ მცხოვრებთ, რომ შიგ მატლი არ იყვეს და ან-და სრულიად გულ-გამოჭმული. როგორც აღმოჩნდა, სიმინდს უჩნდება ჯერ თეთრი მატლი და ბოლოს მატლი თავის კანს სტოვებს გულ-გამოჭმულ სიმინდში და ზეზელად გამოდის. მცხოვრებნი სასოწარკვეთილნი შესცქერიან ძველ სიმინდის შემდეგ გამოსვლას და 5 აგვისტოს ამოვარდნილ აღმოსავლეთის ქარისაგან ძირს დაწვენილ სიმინდებს, ნიადაგ გამუდმებულმა წვიმებმა ლამის ბოლო მოუღოს. ამას გარდა ღორებს და გოჭებს მუსრს ავლებს რაღაც სენი, მაგრამ არსაიდან შველა არ არის. სიმინდის ავადმყოფობის შესახებ ზოგიერთი გლეხი იმას ამბობს, რომ დაუმწიფებელ სიმინდს იწვევენ და ისე ჭყრიან სასიმინდეში, სიმინდი ხურდება და ამიტომ მატლი უჩნდებაო.

სანდრო.

—

ხონი (იმერეთი). ხონი სავსეა სკოლებით, მაგრამ რა გამოვიდა, რადგანაც ეს სკოლები მსურველთა ერთ მეოთხედსაც ვერ აკმაყოფილებს. ყველას გაუგონია, რომ ხონში ბლომად არის სკოლები და რომელი კუთხიდან გინდა, რომ ხონის სკოლებს არ აწვდება მოსწავლე. მოსწავლეთა სიმრავლის გამო ხონის სკოლებში იმართება საკონკურსო გამოცდები. საქალაქო სკოლაში, საოსტატო სემინარიაში და სხვაგან ერთ ადგილას ათი, ხშირად ხუთი მოსწავლე შესცქერის. გამოცდის წინა დღეებში ყველა მოსწავლეს გული უფანცქალებს, სული უწუხს, ვაი თუ შრომამ ტყუილად ჩაიაროსო. ხონელები დიდ უკმაყოფილებას უცხადებენ სკოლის უფროსებს: „ჩვენ გვეხსენით სკოლა, ჩვენის თანხით აგიშენეთ სკოლისათვის შენობა, ერთის სიტყვით, სკოლა ჩვენია, მაგრამ ბავშვების მიღების დროს ხონელებს არავითარი უპირატესობა არ გვეძლევაო!“

ხონში დიდი ხანია ლაპარაკია გიმნაზიის დაარსების შესახებ, მაგრამ ეს საქმე ძნელად განსახორციელებელია. სასურველია, ხონელებმა ამ საქმეს გულ-მოდგინედ მოჰკიდონ ხელი. გიმნაზიის დაარსებას ხონის მოსწავლენი და შეძლებულნი მოუთმენლად მოელოდებიან.

დიაკვნის ფარნით რომ ეძებოთ, ერთ რიგიან ურღვევ ქუჩას ვერ მოსძებნით ხონში. ყველა ქუჩები გაფუჭებულია. ზოგიერთი ქუჩა დრო-გამოშვებით ვეებერთელა მდინარეს მოაგონებს. დაკოტავებული, ფეხშიშველა თუ არ იარე ხონის ქუჩებში, ისე შეუძლებელია ერთი ქუჩიდან მეორეში გადასვლა. ყველა ქუჩაზედ ჭაობები და დამშრალი წყალია; ყველა გაფუჭებულია. აქცევს ამ გარემოებას ვინმე ყურადღებას? არავინ! ხონის „ბულვარი“ ამ ჟამად მივიწყებულია და მო-

ტოვებულია. წინად მუსიკაც ყოფილა ბულგარში, დღეს-კი აღარაფერია.

ილია ბახტაძე

სხვა და სხვა ამბები

სახალხო მასწავლებელნი პრუსიაში. სულ პრუსიაში 85 ათასი სახალხო მასწავლებელია. უმცირესობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს პოლიტიკასა და საზოგადო საქმეებს. 5000 კაცამდე ცენტრის აზრ-შეხედულებისაა. 25 ათასი მომხრეა თავისუფალ მოაზრეთა დასისა. ერთი საპედაგოგიო ჟურნალი სწერს, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა კონსერვატორიაო. მიზეზი ის არისო, განაგრძობს ჟურნალი, რომ მასწავლებელნი უმთავრესად გლეხთა წრიდან გამოდიან, ხოლო გლეხობა პრუსიაში მთავარი ბურჯია კონსერვატიზმისა. სამასწავლებლო სემინარიაშიაც სწავლა კონსერვატიულ ნიადაგზეა მოწყობილი. სოფელში მასწავლებელი კონსერვატორებს შორის სცხოვრობს. ერთის სიტყვით, ყველაფერი ხელს უწყობს, რომ მასწავლებელი კონსერვატორი იყოსო. მეორე გაზეთი წინააღმდეგ აზრისაა. სწერს, რომ პირველ გაზეთს, თვითონ კონსერვატორს, უნდა დაუმტკიცოს ყველას, რომ მასწავლებელნი კონსერვატორნი არიან და ამიტომ ფაქტებს ამახინჯებსო. ამ მეორე გაზეთს თუ დავუჯერებთ, გლეხთა წრიდან მასწავლებელი მხოლოდ 30% გამოდის. პრუსიის მასწავლებელთა შორის ბევრი უკიდურესს მემარცხნეთა მომხრეაო.

—

დაპატიმრებული მინისტრი. პორტუგალელი მინისტრი პერეირა-დას-საპროსი დიდი მოყვარული ყოფილა ძველის" წიგნებისა. იშვიათად ჩაივლის თურმე ისე დღე, რომ ამ მინისტრმა ნახევარის საათით მაინც არ შეირბინოს საჯარო წიგნთ-საცავში და ძველი წიგნები არ გადაათვალიეროს. ამას წინად ერთის რაღაც საინტერესო წიგნის კითხვას შესდგომია. მინისტრი მოფარებული ყოფილა კაფებს, ამიტომ მოსამსახურეებს უფიქრიათ, წავიდაო და კარები გარედან დაუკეტნიათ. მინისტრი მარტოდ-მარტო დარჩენილა. ამძვრალა მეორე სართულის ფანჯარასთან, შიგნიდან გაუღია იგი და ყვირილი დაუწყია პოლიციისათვის, კარები გაალებინეო. როდესაც პოლიციელს მაღლა ფანჯარაში თვალი მოუკრავს უცნობ კაცისათვის, უფიქრნია, ქურდიაო, ამიტომ მაშინვე ცეცხლის-მქრობელ რაზმისათვის უცნობებია. მოუტანიათ მაღალი კიბე, აუყუდებიათ და ასულან „ქურდის" ჩამოსაბრძანებლად, მინისტრს ბევრი უძახნია, მინისტრი ვარო, მაგრამ პოლიციელს ყურადღება არ მიუქცევია და მუჯლუგუნის კვრით პოლიციის ნაწილში მიუყვანია. მხოლოდ იქ მიმხვდარან „ქურდის" ვინაობას. მეორე დღეს წიგნთ-საცავის გამგეობას საჩივარი აღუძრავს მინისტრის წინააღმდეგ: წიგნთ-საცავის წესების ძალით, მესამედ ზარის დარეკის შემდეგ არავის შეუძლიან თურმე წიგნთ-საცავში დარჩენა. თუ პოლიციის მუჯლუგუნებს მოსამართლემაც დაუმატა ჯარიმა ან სხვა სასჯელი, კარგ ჯილდოს მიიღებს მინისტრი ძველ წიგნების სიყვარულისათვის.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 აგვისტო

პეტერბურგი. დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მდგომარეობა საკმაოდ კარგია. ეხლა უფრო კარგად მოძრაობს.

25 აგვისტოს ხელმწიფე-მემკვიდრე ორიოლში წავიდა.

ლიბავა. სამხედრო მინისტრი ლიბავიდან წავიდა.—საზღვაო სამინისტროს მმართველი იახტა „შტანდარტ"-ით სხვაგან წავიდა.

იალტა. ბუხარის ემირი ბუხარას წავიდა.

პარიზი. ოსმალეთის ელჩმა უთხრა გაზ. „გოლუა"-ს წარმომადგენელს, პორტა ეცდება, მაკედონიაში სისხლის ღვრა მოსპოსო. პორტამ დიდი ლაშქრობა გამართა. აჯანყებულთ რაზმებს გარს შემოეხვევიან და დაიმორჩილებენ. სამართალში მარტო მეთაურებს მისცემენ.

სტამბოლი. არაფრიდან არა სჩანს, რომ სახელმწიფოები მაკედონიის საქმეში გარევას აპირებდნენ. ანატოლიის სათადარიგო ჯარი ქრისტიანის ქალებსა და ბავშვებს ალბანიის სათადარიგო ჯარისაგან იცავს. ოსმალები აცხადებენ, ჯარის რიცხვს 350 ათასამდე ავიყვანთ, რომ აჯანყება მალე გავაქროთო.

ბელგრადი. აქაურმა სოციალისტებმა კრება მოახდინეს (300-მდე კაცი დაესწრო). კრებამ მაკედონიის ამბების გამო თავისი გულის წყრომა გამოსთქვა და მთავრობას ურჩია, მაკედონიელების საშველად მსურველთაგან რაზმები შეადგინეთო.

ათინა. მთავრობას ოფიციალურად შეატყობინეს: დიდმა ვეზირმა ბრძანება გასცა, კრუშევოში მომხდარ ძალმომრეობის თაობაზე გამოძიება მოახდინეთ და ყველა დამნაშავე დასაჯეთო.

ბერლინი. სილეზიის პროვინციას წყალდიდობამ 20 მილიონ მარკაზე მეტი ზარალი მოუტანა. 81 ათასი ჰექტარი მამული წყლისაგან იყო წალეკილი.

26 აგვისტო.

პეტერბურგი. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი უავგუსტოეს შვილებითურთ 25 აგვისტოს ბელოვეჟში მივიდნენ.

ნიჟნი ნოვგოროდი. ბაზრობა ოფიციალურად დაიხურა. იარმუკის ვაჭრობა საშუალოა, მაგრამ უფრო ფულიანია, ვიდრე შარშანდელი. კერძო ბანკებში მისათვლელი პროცენტი შარშანდელს 1/3-ით და 1/4-ით აღემატება და უკანასკნელ დღეებში ძალიან მაღლა აიწია.—25 აგვისტოს საბაზრო კომიტეტმა ტელეგრამით სალამი მიუძღვნა ვიტტეს და პლევეს.

ბელგრადი. მეფის მოკვლის განზრახვის შესახებ ხმები უსაფუძვლოა.—ნიშის რკინის გზის მიმოსვლათა უფროსი გენერალი იანკოვიჩი დათხოვნილ იქმნა. იმის ალაგს გენერალი ჯანიჩი დანიშნეს.

ადრიანოპოლი. ტირნოვოდან 11 მეამბოხე მოიყვანეს. იმათ საქმის გასარჩევათ საგანგებოთ დანიშნეს უაპელაციო სასამართლო. კირკ კილისეში ორი მეამბოხე დააპატიმრეს. ამბობენ, ესენი დინამიტით აფეთქებას აპირებდნენო. მაჰმადიანი სოფლის მცხოვრებნი, რომელნიც კირკ-კილისეში გაიქცნენ, უკან ბრუნდებიან. მცირე აზიის რედიფთაგან 8 ბატალიონი ადრიანოპოლით კირკ-კილისეში წავიდა.

ბათუმი. ბათუმი დღესასწაულობს რუსეთთან შეერთების 25 წლის თავს.

სტამბოლი. ის ბოლგარელები, რომელნიც სულთანის ტახტზედ ასვლის წლის თავის დღესასწაულობის წინად დააპატიმრეს, თავდებით გამოუშვეს.—კიდევ რამდენიმე კაცი დააპატიმრეს.

სოფია. „პესტ.—კლ." იუწყება: თან და თან ირკვევა, რომ გემის აფეთქება შეთქმულ ბოლგარელების საქმეა. ეს იმათი პასუხი იყო იმ განკარგულებაზე, რომლის თანახმადაც უნდა გემებს დაეწყოთ მიმოსვლა ადრიანოპოლსა და სტამბოლს შუა ვარნაზე, რადგანაც რკინის გზით პირდაპირი მიმოსვლა შეჩერებულ იქმნა.—ოსმალთა ჯარებმა მეამბოხეთ წაართვეს სოფელი „კუცოვლაშკოე კლისცურუ" კასტორის ოლქში და დაანგრიეს 11 ბოლგარელთა სოფელი. ოსმალთა ჯარის უფროსთან ბერძენთა კასტორიის ეპისკოპოსიც იყო. ჰფიქრობენ, რომ ოსმალეთის ჯარებთან ერთად ბერძენთა თავის ნებით შეიარაღებული რაზმები მოქმედებენ.—ფლორინის ხეობა სულ ერთიანად ცეცხლით არის მოცული.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

—

პეტერბურგის ბირჟა 19 აგვისტო

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,92½
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,35
ბერლინისაზე "	46,30
პარიზისაზე "	37,50
ბირჟის დისკონტი	5-6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100½ მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	95⅛ გაყ.
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	444 "
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	336 "
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	289 მყიდ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
4½% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	186 გაყ.

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათით, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ.). 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 ს. [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპანისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.)

საავადმყოფოები:

—

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ხითაროვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტოზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისაისტნოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუდიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოდლოუსტისა.

განცხადებანი

—

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—220)

ახალი იაფ-ფასიანი წიგნები

ჟურნალ

„მოგზაურის"

რედაქციაში იყიდება შემდეგი იაფ-ფასიანი წიგნები:

1. წერილი სოფლელ მუშას, ფასი 5 კაპ.
2. ყელ-პირევება ანუ დიფტერიტი, ფ. 5 კაპ.
3. მეცნიერების დედა-აზრი, ფ. 5 კ.
4. ძველი რწმენა-წარმოდგენები და მეცნიერება, ფასი 5 კაპ.
5. რა არის გონებითი გახსნა-განვითარება, ფასი 5 კაპ.
6. პურის ბოსტანი ანუ მოყვანა პურისა ჩინურ-იაპონურის წესით, ფასი 7 კაპ.
7. ბავშვების გონიერი მოვლა ანუ რისგან სნეულდებიან და იხოცებიან ბავშვები უდროვოდ, ფასი 5 კაპ.
8. დანაშაულობა-დამნაშავენი და ახალი საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კ.
9. მეურნეობა და ახალი სკოლა, ფასი 5 კაპ.
10. შინაური ფრინველების: ქათმების, ინდაურების, ბატების, იხვების და ხოხბების მოვლა-მოშენება, სურათებით, ფ. 15 კაპ.
11. რა არის დოსტაქრობა (ხირურგია) ანუ როგორ არჩენენ აქიმები დანით? ფ. 5 კ.
12. „მურია", საყმაწვილო მოთხრობა, სურათებით, 5 კაპ.
13. თვით-მასწავლებელი რუსულის ენისა ქართულის ენის შემწეობით, სურათებით, ფ. 20 კაპ,
14. სულით ავადმყოფი მოსწავლენი, ფ. 5.
15. ხეხილის გამრავლება და მოვლა, სურათებით, ფასი 7 კაპ.
16. მეფე ლამზა, საყმაწვილო და მოზრდილთათვის მოთხრობა, სურათებით, ფ. 7 კაპ.
17. საუნჯე ავადმყოფისა ანუ აღწერა და წამლობა ყოველ-გვარ ავადმყოფობათა, ფ. 15 კაპ.
18. საუნჯე მეურნისა ანუ აღწერა, მოვლა და გამრავლება-გამოყენება ყოველ-გვარ ხეხილისა, ბუჩქებისა და უბრალო ხეებისა, ფ. 15 კაპ.
19. მთვრალობა და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კაპ.
20. ცხვრის ყვავილი, ფ. 5 კ.
21. ქვეყნიერების მასალა ანუ მატერიის ქიმიური რაობა, ფ. 7 კაპ.
22. ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები, ფ. 5 კაპ.
23. გმირი როლანდი, მოთხრობა მოზრდილთათვის, ფ. 10 კაპ.
24. დროა გონს მოვიდეთ! ლოთობის წინააღმდეგ, ფ. 10 კაპ.
25. მეთევზის შვილი, სურათებით, საყმაწვილო ზღაპარი, ფ. 10 კ.
26. ხტუნია-ციყვუნია, სურათებით, საყმაწვილო წიგნი. ფ. 10 კ.
27. ლიჰნარდი და გერტრუდა, პედაგოგიური მოთხრობა პესტალოცისა, ფ. 10 კაპ.
28. ცივილიზაციის ისტორია ინგლისში, ბოკლისა, ფ. 40 კაპ.
29. შით-თავადი, ლეგენდა ლექსად, ფ. 10 კ.
30. როგორ ცხოვრობენ ჩინელები, ფ. 10 კ.
31. ცხენის წურბელა, მოთხრობა, ფ. 10 კ.
32. მაჰმადი და მისი ცხოვრება-მოქმედება, სურათებით, ფ. 10 კაპ.
33. დარვინიზმი, პირველი და მეორე წიგნი, ფ. 20 კაპ.
34. სიფრთხილეს თავი არ სტკივა ანუ საქონლის ჭირის შესახებ, ფ. 5 კ.
35. აღზრდა შვილისა, თხზ. ბემესი, ფ. 15 კაპ.
36. ტყის გონიერი მოვლა-გაშენება, ფ. 10 კ.
37. ახალი წესი ვენახების გაშენებისა საქართველოში, სურათებით, ფ. 10 კ.
38. საქონლისათვის აკვებ ბალახების თესვა-მოყვანა, სურათებით, ფ. 20 კაპ.
39. სარკე გურულთა ცხოვრებისა, ფ. 5 კ.
40. ისტორია სწავლა-აღზრდისა, ფ. 5 კაპ.
41. ალბომი „ქართველთა ტომი", ასი მეტი სურათით, 70 კაპ.
42. Новая народная школа и основы ея развитія и существованія, ფ. 5 კ.

ვინც ერთს მანეთისას ან მეტისას გამოიწერს, გაგზავნის ხარჯს რედაქცია კისრულობს. მანეთზე ნაკლები ხურდა ფული შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს და ფოსტის ხარჯათაც სამ-სამი კაპეიკი წამატოს თვითეულ დაბარებულ წიგნზე.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Могзаури» Ивану Павловичу Ростомашвили. ტფილისში მცხოვრებთ ადგილობრივ წიგნთ-სავაჭროებშიაც შეიძლება იყიდონ. (10—8)

კურსები

ბუხჰალტერიისა, საკომერციო არითმეტიკისა და სავაჭრო უფლებისა

ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან.

(წელიწადი მეოთხე).

სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს. კურსი გაგრძელდება არა ნაკლებ 6 თვისა. სწავლა საღამოობით იქნება, სამჯერ კვირაში. ყურის მგდებლად შეუძლიანთ იყვნენ წერა-კითხვის მცოდნენი ორისავე სქესისა.

თხოვნები საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელზე მიიღება ყოველ დღე, დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდე, სასწავლებლის კანცელარიაში (ჩუღურეთი, რიყის ქუჩა, საკუთ. სახ. № 11).

(10—8)

Дозв. ценз. Тифлисъ 26 Августа, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)